ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N 01

ქ. ონი

5 აგვისტო 2025 წელი

ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიხსნა 2025 წლის 5 აგვისტოს.

სხდომას ესწრებოდნენ:

- პაატა მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე;
- ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თეიმურაზ გრძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლერი მღებრიშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარინე მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შესყიდვებისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ბაჩანა მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ალავერდ ხვედელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სერგო ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ლევან ორდინიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სონია გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვლადიმერ ბერელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- ვასილ მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;
- სოფიო გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მიმოხილვა; გასული წლების ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება და 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის წარდგენა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ, მოახდინა გასული წლების ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება და აღნიშნა რომ ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია და შესრულების პროცენტი დამაკმაყოფილებელი. წარადგინა 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან 2025 წლის 14 ივლისს მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. ეს დოკუმენტი პირველადი ვარიანტია, ზღვრული მოცულობების განსაზღვრისა და მოწონების შემდეგ დაზუსტებული იქნება საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებებისა და ოქტომბრის თვეში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარმეტრების შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაგრძელდება პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების კაპიტალური რეაბილიტაცია, წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა და ა.შ. ასევე სახელფასო ფონდის გაზრდა როგორც ა(ა)იპ ორგანიზაციებში, ასევე საჯარო მოსამსახურეებისათვის.

განხილული იქნა ონის მუნიციპალიტეტის თითოეული პრიორიტეტზე განსაზღვრული პროგრამები. ისაუბრეს ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც იგეგმება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. გასულ წელს დაწყებული სოფლებში მისასვლელი გზების კაპიტალური შეკეთება-ასფალტირების სამუშაოები გაგრძელდება სოფელ ლაგვანთა საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლების გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ ბარში გზის რეაბილიტაცია ცემენტ-ბეტონის საფარით, სომიწოს მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით, სოფელ ქვედის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ასფალტო-ბეტონის საფარით, სოფელ წედისის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის საფარით. კვლავ გაგრძელდება, ქ. ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა. განხორციელდება საპროექტო და საზედამხედველო დოკუმენტაციის შესყიდვა, ასევე გაგრძელდება ქალაქის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების

შეკეთების მიმდინარე და პერიოდული სამუშაოები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ყურადღება მიექცევა უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას.

მერის მოადგილემ ლევან შერაზადიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პრიორიტეტულია გზების კაპიტალური რეაბილიტაცია სოფელ წოლის და სოფელ კომანდელი - ხირხონისი -ქორთა - ქრისტესი - სხიერის მიმართულებით, მან ასევე აღნიშნა რომ 2028 წლამდე თითქმის ყველა სოფელში უნდა მოხდეს გზების რეაბილიტაცია მყარი საფარით, ისაუბრა ქალაქის შიდა გზების ასფალტირების აუცილებლობაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ დაიგეგმოს სოფელ ონჭევში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ლაგვანთაში სპორტული მოედანის მოწყობა და მოხდეს ბეერ-შევას პარკის რეაბილიტაცია. სამუშაო ჯგუფის წევრებმა აგრეთვე ისაუბრეს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის საჭიროებაზე, აღინიშნა რომ საჭიროა სოფელ ხურუთში მისასვლელი გზის და სოფელ ღებში ჩვეშურის ხიდიდან ტაძრამდე მისასვლელი გზის პროექტის შესყიდვა. საუბარი იყო აგრეთვე ონის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის უზუნთა-საჩხერე-შქმერი-ონის მონაკვეთზე გადასახედის პროექტის თაობაზე, რაზეც მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, პაატა მაისურაძემ აღნიშნა რომ პროექტი პრობლემატურია და მიმდინარეოს მოლაპარაკებები.

სონია გუგეშაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ისაუბრა „ძველი დიდების ნაკვალევზე“ - პროექტის შესახებ, რომლის ფარგლებში მოეწყო ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში, მან აღნიშნა რომ პროექტი მხოლოდ ერთხელ იყო დაფინანსებული და კარგი იქნება თუ განახლდება და ყოველწლიურად დაფინანსდება, რაზეც მერის მოადგილემ ლევან შერაზადიშვილმა უპასუხა, რომ კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტის მიმართულებით ბიუჯეტი საკმაოდ გაზრდილია და აღნიშნული საკითხი პროექტის წარმოდგენის შემთხვევაში იქნება განხილული.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალავერდ ხვედელიანმა დააყენა საკითხი ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დახმარების გაზრდაზე, რაც პროგრამების შედგენის დროს იქნება გათვალისწინებული.

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი) დამუშავდება, წამოჭრილი წინადადებები შემლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება და განისაზღვრება ონის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი ზღვრული მოცულობებით.

თანათავმჯდომარე:	_____	პაატა მაისურაძე
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	_____	თინათინ ბროლაშვილი
მდივანი:	_____	ნინო მეტრეველი
სამუშაო ჯგუფის წევრი:	_____	ლევან შერაზადიშვილი

ვალერიან გობეჯიშვილი

თაიმურაზ გრძელიშვილი

ლერი მღებრიშვილი

მარინე მაისურაძე

სოფიო გუგეშაშვილი

ზაჩანა მარკოიშვილი

ალავერდ ხვედელიანი

გიორგი მარკოიშვილი

სერგო ლობჯანიძე

მამუკა ყავლაშვილი

ლევან ორდინიძე

სონია გუგეშაშვილი

ვლადიმერ ბერელიძე

ვასილ მეტრეველი